ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლებისა სკოლა (ფაკულტეტი)

კ უ რ ი კ უ ლ უ მ ი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება
ინგლისური ფილოლოგია
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური
ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი / Bachelor of English Philology - 0231.1.2.
პროგრამის ხელმძღვანელი
რუსუდან ციციშვილი
დაწვრილებითი ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციასა და მის სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით მოცემულია პროგრამაზე თანდართულ დოკუმენტებში.
პროგრამის მოცულობა
ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე. ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი. ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა სტუდენტს აძლევს დიდ შესაძლებლობას დაგეგმოს საკუთარი საგანმანათლებლო პროფილი. ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა შედგება ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებისა და თავისუფალი კომპონენტებისაგან.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლების სტანდარტული ხანგრძლივობა არის 4 წელი, 8 სემესტრი.

წლის განმავლობაში სტუდენტი აგროვებს 60 კრედიტს, ე.ი სემესტრში 30 კრედიტს, თუმცა სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე მეტი ან ნაკლები, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა.

სავალდებულო სასწავლო კომპონენტში სტუდენტი აგროვებს 183 კრედიტს, ხოლო არჩევით კომპონენტში - 60 კრედიტს.

1. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსებში სტუდენტი აგროვებს 147 კრედიტს, რომელშიც შედის სასწავლო პრაქტიკის კომპონენტი 9 კრედიტის მოცულობით.
2. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის არჩევით სასწავლო კურსებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 42 კრედიტი, რომელშიც შედის კვლევითი კონპონენტი. კვლევით კონპონენტს სტუდენტი განახორციელებს ან საბაკალავრო ნაშრომის (12 კრედიტი) ან ჯგუფური კვლევითი პროექტის (9 კრედიტი) შემთხვევაში.
3. თავისუფალი კომპონენტის ნაწილში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 51 კრედიტი, რომელიც მოიცავს 35 სავალდებულო კრედიტს და 16 არჩევით კრედიტს, რომელთა მიზანია ხელი შეუწყოს სტუდენტს ჩამოიყალიბოს და/ან გაიღრმავოს ზოგადი ტრანსფერული უნარები და გაიფართოვოს თვალსაწიერი მისთვის საინტერესო სფეროებში.
4. თავისუფალი კომპონენტის მოცემულ ნაწილში სტუდენტს ასევე შეუძლია დააგროვოს 12 კრედიტი არა მხოლოდ ინგლისური ფილოლოგიის პროგრამიდან, არამედ შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში არსებული სხვა, იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან ან საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული იმავე საფეხურის აკრედიტებული აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან ან უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში არსებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან, თუ ეს კრედიტები შესაბამისად აღიარებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიერ.

სწავლების ენა

ქართული ენა (ინგლისური კომპონენტებით)

პროგრამის მიზანი

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტს:

1. ხელი შეუწყოს მისი აზროვნების შემდგომი განვითარების პროცესს - აზიაროს ცოდნის სხვადასხვა სფეროს ჰუმანიტარული მიმართულების განხრით. კერძოდ, გააცნოს და გააზრებინოს ინგლისური ენის სამი ძირითადი სისტემის (გრამატიკული, ფონეტიკურ - ფონოლოგიური და ლექსიკურ-სემანტიკური) თავისებურებები, ზოგადი და დარგობრივი ენათმეცნიერებისა და მრავალსაუკუნოვანი მსოფლიო ლიტერატურის განვითარების

პროცესები, მათი სისტემური კვლევის მეთოდები; გაარკვიოს იგი ზნეობრივი ღირებულებების სპეციფიკასა და ზნეობრივი პროცესის კანონზომიერებებში, პიროვნებისა და პიროვნებათშორისი ურთიერთობების ფსიქოლოგიურ თავისებურებებში; გააზრებინოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე საქართველოს ადგილი, როლი და მნიშვნელობა მსოფლიო ისტორიის განვითარების პროცესში.

2. C 1+ დონეზე შეასწავლოს პრაქტიკული ინგლისური ენა თავისი მრავალმხრივი თემატიკით და გამოუმუშავოს ინგლისური ენის ოთხი ძირითადი უნარ-ჩვევის ეფექტური სტრატეგიები სხვადასხვა სირთულის მრავალფეროვანი თემატური, ლექსიკურ-გრამატიკული და ფონეტიკური მასალის პრაქტიკული გამოყენების გზით.
3. სათანადო აკადემიურ კონტექსტში გამოუმუშავოს ინგლისურ ენაზე კრიტიკული კითხვის, წერის, საუბრისა და ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის კულტურა სხვადასხვა ტიპისა და სირთულის დარგობრივ - პროფესიული მასალის გააზრების მეშვეობით, ასწავლოს როგორ გამოხატოს საკუთარი აზრი, გამოუმუშავოს საკუთარი და სხვისი საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები, ჩამოუყალიბოს მხატვრული გემოვნება.
4. ხელი შეუწყოს გააცნობიეროს მრავალფეროვანი ტრანსფერული უნარების გამოყენების მნიშვნელობა რეალურ ცხოვრებაში ციფრული საინფორმაციო ტექნოლოგიების ჩათვლით და მათზე მიზანმიმართული, თანმიმდევრული მუშაობის გზით დაეხმაროს ნებისმიერ პროფესიაზე მორგებული, ზოგადი და სპეციფიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში.
5. ხელი შეუწყოს პროფესიონალიზმის მაღალი სტანდარტების ჩამოყალიბებაში, გამოუმუშავოს პროფესიული გამბედაობა ეროვნული ფასეულობებისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გაცნობიერების საფუძველზე, გაუღვიძოს მოქალაქეობრივი და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა, ჩამოუყალიბოს ტოლერანტული დამოკიდებულება უცხოენოვანი კულტურების მიმართ.
6. გამოუმუშავოს საბაკალავრო ნაშრომზე ან ჯგუფურ პროექტზე მუშაობის უნარ-ჩვევები წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე და ჩაბარებული აქვს გამოცდა ინგლისურ ენაში, ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაზე დაშვების წინაპირობად ეროვნულ გამოცდებზე ინგლისურ ენაში მინიმალური ქულობრივი ბარიერი განსაზღვრულია 35 ნედლი ქულით.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლის შემთხვევებში.

დასაქმების სფერო

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლის ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრს პროგრამის გავლის შემდეგ შესაძლებლობა ექნება იმუშაოს ყველა ტიპის დაწესებულებაში (საჯარო, კერძო, არასამთავრობო ორგანიზაციები), რადგან პროგრამის დასრულების შედეგად მის მიერ

შეძენილ მრავალმხრივ ცოდნასა და მრავალფეროვან პროფესიულ თუ ზოგად ტრანსფერულ უნარ-ჩვევებს როგორც ინგლისური, ისე ქართული ენების კუთხით, საქართველოს მაღალკონკურენტუნარიან შრომით ბაზარზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

აქედან გამომდინარე, ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ იმუშაონ:

- ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დამატებით სტრუქტურულ ერთეულებში შიდა საუნივერსიტეტო პრაქტიკის გავლის შემდეგ ან კონკრეტული სამსახურის მიერ წარდგენილი დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველზე;
- ადგილობრივ და საერთაშორისო ინსტიტუციებში;
- ადგილობრივ და საერთაშორისო კომპანიებში/ასოციაციებში/კავშირებში/ საზოგადოებებში;
- სამეცნიერო, კვლევით და საგანმანათლებლო ცენტრებში;
- სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში;
- სკოლამდელ, ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში; (საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო შეზღუდვების გათვალისწინებით);
- საბიბლიოთეკო ქსელში (ეროვნული, სამეცნიერო, სასწავლო, მასობრივი (საჯარო), საბავშვო, სასკოლო, ციფრული და სპეციალიზებული ბიბლიოთეკები და სხვა);
- რედაქციებსა და გამომცემლობებში;
- პროფესიულ გაერთიანებებში;
- დიპლომატიურ წარმომადგენლობებში;
- სახელმწიფო/კერძო რადიო და სატელევიზიო არხებსა და მედია ცენტრებში;
- საინფორმაციო და ტურისტულ სააგენტოებში;
- ტურიზმის სფეროში;
- კულტურისა და ხელოვნების ერთეულებში/დაწესებულებებში (სახელმწიფო და კერძო); /თეატრები, მუსიკალური და შემოქმედებითი ცენტრები/მუზეუმები/ არქივები და სხვ.);
- ქსელური მარკეტინგის სფეროში;
- თვითდასაქმების მიმართულებით;

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება ექნება სწავლა გააგრძელოს სამაგისტრო პროგრამით როგორც ენის მეცნიერებების, ლიტერატურათმცოდნეობის, ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგიის (სათანადო დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში), ანგლისტიკის, ამერიკანისტიკის, ისე მისთვის საინტერესო ნებისმიერი სხვა დარგის მიმართულებით, თუ მის მიერ განხორციელებული ქმედება წინაარმდეგობაში არ მოდის საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

სწავლის შედეგები

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული:

1. პროგრამის ფარგლებში დაგროვილი ფართო სისტემური ცოდნის საფუძველზე აცნობიერებს, აღწერს და მიმოიხილავს:
    - ენის მეცნიერებების საფუძვლებს, საკვანძო საკითხებს, კონცეფციებს, უახლეს პრობლემატიკას;
    - მსოფლიო ლიტერატურის განვითარების გზებს, მის ეტაპებს, მიმდინარეობებსა და ჟანრებს;
    - ორი ენობრივი სისტემის შესაბამისობასა და თარგმნის პროცესში შინაარსის ადეკვატურად გადმოტანის სპეციფიკას;
    - ფსიქოლოგიისა და ეთიკის საფუძვლებს, მრავალფეროვან კონცეფციებს, მათ ღირებულებასა და მნიშვნელობას ადამიანის ცხოვრებაში;
    - ქართველთა როლს მსოფლიოს ისტორიული და კულტურული განვითარების კონტექსტში;
2. ინგლისური ენის C1 + დონის კომპეტენციის ფარგლებში ენის სამი სისტემის გააზრების საფუძველზე თავისუფლად კითხულობს, მიზანმიმართულად წერს და საუბრობს ინგლისური ენის მდიდარი და მრავალფეროვანი სტრუქტურული, თემატური და ფუნქციური რესურსის გამოყენებით. სწვდება ნათქვამის შინაარსსა და ადექვატურად რეაგირებს მასზე.
3. „საწყისი“ ენიდან (ინგლისური/ქართული ან პირიქით) „სამიზნე“ ენაზე (ქართული/ინგლისური ან პირიქით) თარგმნისას განსაზღვრავს თარგმანის ექვივალენტობის დონეს და აღწევს ტექსტებს შორის შინაარსობრივ იდენტურობას „სამიზნე“ ენის გამომსახველობითი საშუალებების ნაირგვარი კომბინაციების მეშვეობით; აქტიურად იყენებს სათანადო თემატურ, დარგობრივ - პროფესიულ ტერმინოლოგიასა და ფუნქციურ ენას.
4. მრავალფეროვან პროფესიულ თემებზე საუბრის უნარ-ჩვევის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის მიზნით, ქართულ-და ინგლისურენოვან სამეცნიერო კონფერენციებზე რეგულარულად წარადგენს პროფესიულ სფეროში მიღებული სტანდარტის საფუძველზე აგებულ პრეზენტაციებს, მოხსენებებსა და ვებინარებს. მათთან დაკავშირებული ზეპირი მეტყველების ნებისმიერი ფორმის გამოყენების დროს ზუსტად იცავს ყველა ეთიკურ ნორმას.
5. მრავალფეროვანი აკადემიური მოთხოვნებიდან გამომდინარე ასრულებს სხვადასხვა ტიპის წერით სამუშაოს ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოხატვის კონკრეტული წერითი ფორმისთვის დამახასიათებელი ძირითადი თავისებურებების გათვალისწინებით; ირჩევს სათანადო თემატურ, დარგობრივ - პროფესიულ ტერმინოლოგიასა და რეგისტრს.
6. ლიტერატურათმცოდნეობითი და ლინგვო-სტილისტური მეთოდების საფუძველზე აღწერს და აანალიზებს სხვადსხვა ტიპის მხატვრულ ტექსტს (პროზა, პოეზია, დრამა). საკვლევ ობიექტს განიხილავს სხვა ობიექტებთან მიმართებით ფართო ლიტერატურულ თუ ლინგვო-სტილისტურ კონტექსტში.
7. C 1 + დონის ენობრივი კომპეტენციის ფარგლებში, საკვლევ თემასთან მიმართებით გააზრებულად მოძიებული და სისტემატიზირებული მულტიმედიური ინფორმაციის სათანადო ფორმით წარდგენისას (როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე). ყოველგვარი

შეფერხების გარეშე იყენებს თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების მრავალფეროვან რესურსს.

8. მოქმედებს, როგორც ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებისა და ღირებულებების, ისე ქართული კულტურის წიაღში ჩამოყალიბებული მორალურ-ეთიკურ პრინციპების სრული გათვალისწინებით. აქტიურად ერთვება გუნდურ მუშაობაში და მონაწილეობს მუშაობის პროცესის ყველა ეტაპის განხორციელებაში.
9. ახდენს საგანმანათლებლო დონის შესაბამისი პროფესიული ცოდნის დაგროვებას, არსებული უნარ-ჩვევების დახვეწასა და ახალი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება - განვითარებას. დამოუკიდებლად და ეფექტურად მართავს თავის დროსა და რესურსებს.
10. წერს კვლევით ნაშრომს ან/და მონაწილეობს ჯგუფურ კვლევით პროექტში წინასწარ მიღებული მითითებების საფუძველზე.

სწავლება-სწავლის მეთოდები

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდები და სათანადო აქტივობები, რომლებიც ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში.

სწავლება - სწავლის მეთოდები:

☒ ლექცია ☒ სემინარი ☒ პრაქტიკული მეცადინეობა ☒ სასწავლო პრაქტიკა ☒ დისტანციური სწავლება

აქტივობები:

- წიგნზე მუშაობა;
- წერითი მუშაობა;
- ელექტრონული რესურსებით სწავლება;
- საშინაო დავალება;
- კლასში მუშაობა;
- ვერბალური ახსნა-განმარტება;
- პროექტზე დაფუძვნებული სწავლება;
- პრობლემაზე დაფუძვნებული სწავლება;
- ქმედებაზე ორიენტირებული მეთოდები;
- ევრისტიკული მეთოდი;
- პორთფოლიო;
- დამოუკიდებელი მუშაობა/სწავლა (ესე, რეფერატი, პროექტი, მოხსენება/ინდივიდუალური ან ჯგუფური პრეზენტაცია);
- წყვილებში ან ჯგუფური მუშაობა;
- ჯგუფური ან ინდივიდუალური კონსულტაცია;
- სწავლება საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობით;
- როლური და სიტუაციური თამაშები;
- თანამშრომლობითი სწავლა;

- გონებრივი იერიში;
- სტუდენტის მიერ მასალის დამოუკიდებლად დამუშავება და მსჯელობა შესაბამის თემაზე;
- დისკუსია-დებატები;
- ანალიზი-სინთეზი;
- თვითშეფასება/თვითშეფასების დღიური;
- ურთიერთშეფასება/ურთიერთშეფასების მონიტორინგი;
- სხვადასხვა ტიპის მასალის კომენტირება მისი კონტექსტუალიზაციის, ინტერპრეტაციის ან ანალიზის მიზნით;
- განსაზღვრულ თემაზე ინფორმაციის მოძიება, შერჩევა და შეფასება მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებით;
- წინასწარ მომზადებული ინფორმაციის განხილვა;
- ბეჭდურ, ციფრულ ან/და სხვა ფორმატში წარმოდგენილი სხვადასხვა ტიპის ძირითადი/დამხმარე, აკადემიური/არააკდემიური ლიტერატურის/მასალის უშუალო შესწავლა/კრიტიკული წაკითხვა (გააზრება);
- მოძიებული ინფორმაციისა და განხორციელებული ინტერპრეტაციის პრეზენტაცია ზეპირად და წერილობით (ესეები, ანგარიშები...) ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით;
- შემოქმედებითი წერა;
- ჯგუფური და/ან ინდივიდუალური კვლევითი პროექტის დაგეგმვა და განხორციელება ხელმძღვანელის მეთვალყურეობით ან დამოუკიდებლად;
- საბაკალავრო ნაშრომის განხორციელება ხელმძღვანელის მეთვალყურეობით;
- სასწავლო პრაქტიკა;
- სასწავლო პრაქტიკის დღიური-ანგარიში;
- შესაბამისი ციფრული ინსტრუმენტების, პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება;
- თარგმანის შესრულება ტექნოლოგიების გამოყენებით;
- სხვადასხვა სახის ლექსიკონების გამოყენება;
- ვირტუალური სასწავლო გარემოს გამოყენება;
- მულტიმედიური მასალების გამოყენება;
- ენის/ენების სწავლება მცირერიცხოვან ჯგუფებში;
- შებრუნებული გაკვეთილი;
- აქტიური სწავლა;
- სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება.

შეფასების სისტემა

სტუდენტის მიერ შესაბამის სასწავლო კომპონენტში კრედიტების მიღება/დაგროვება სწავლების პროცესში აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება. სწავლის შედეგების მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის თანახმად.

სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას - 100 ქულას.

შეფასების ფორმები მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნა/გაცნობიერების ან/და უნარის ან/და ავტონომიურობა/პასუხისმგებლობის შეფასების ხერხს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო, საშინაო დავალება და სხვა.). შეფასების კომპონენტები აერთიანებს შეფასების მეთოდებს (ტესტი, ესე, პრეზენტაცია და სხვა). შეფასების მეთოდი იზომება შეფასების კრიტერიუმებით.

შეფასების თითოეულ ფორმას და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში.

შეფასების თითოეულ ფორმას აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - შუალედური შეფასებისთვის მინიმუმ 25 ქულა, დასკვნითი შეფასებისთვის მინიმუმ 16 ქულა.

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეიძლება დადგინდეს შეფასების კომპონენტის/კომპონენტებისთვისაც, რაც დაწვრილებით გაიწერება სასწავლო კურსის სილაბუსით.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება დადებითი შეფასების მინიჭების შემთხვევაში.

პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა:

ხუთი სახის დადებითი შეფასება:
(A) ფრიადი _ 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი _ 81-90 ქულა;
(C) კარგი _ 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი _ 61-70 ქულა;
(E) საკმარისი _ 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფითი შეფასება:
(FX) ვერ ჩააბარა _ 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა _ 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
(FX) - ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში.

სტუდენტის საბოლოო რეიტინგის დასადგენად და მათ წასახალისებლად სასწავლო პროცესის დასრულებისას გამოითვლება კუმულატიური ქულა (კუმულატიური ქულის გამოთვლა ხორციელდება ყოველი სემესტრის ბოლოსაც). კუმულატიური ქულის გამოთვლა შემდეგნაირად ხორციელდება: ყოველ სასწავლო კურსში სტუდენტის მიერ მიღებული ქულის რაოდენობრივი მაჩვენებელი მრავლდება ამ სასწავლო კურსისათვის განკუთვნილი კრედიტის რაოდენობაზე და შემდეგ ამ რიცხვების საერთო ჯამი იყოფა სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების რაოდენობაზე.

პროგრამის განსახორციელებლად მისაღწევი რესურსები

მატერიალური რესურსი:

- კანონმდებლობით გათვალისწინებული ფართი (სასწავლო და დამხმარე);
- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები, ადმინისტრაციის მუშაობისათვის განკუთვნილი ფართი;
- ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა;
- სველი წერტილები;
- ბუნებრივი განათება;
- გათბობის საშუალებები;
- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ევაკუაციის გეგმა;
- სამედიცინო დახმარების მექანიზმები (სამედიცინო კაბინეტი);
- წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები (უნივერსიტეტის დაცვა);
- კომპიუტერთა სათანადო რაოდენობა და ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა;
- საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სახელმძღვანელოებითა და თანამედროვე საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;

ადამიანური რესურსი:

- აკადემიური პერსონალი შერჩეული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით.
- მკვლევარებად და მასწავლებლებად უნივერსიტეტში მოწვეულნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პრაქტიკოსი მუშაკები და სამეცნიერო ხარისხის მქონე პირები.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები

1. კურსდამთავრებული პროგრამის ფარგლებში დაგროვილი ფართო სისტემური ცოდნის საფუძველზე აცნობიერებს, აღწერს და მიმოიხილავს:
    - ენის მეცნიერებების საფუძვლებს, საკვანძო საკითხებს, კონცეფციებს, უახლეს პრობლემატიკას;
    - მსოფლიო ლიტერატურის განვითარების გზებს, მის ეტაპებს, მიმდინარეობებსა და ჟანრებს;
    - ორი ენობრივი სისტემის შესაბამისობასა და თარგმნის პროცესში შინაარსის ადეკვატურად გადმოტანის სპეციფიკას;
    - ფსიქოლოგიისა და ეთიკის საფუძვლებს, მრავალფეროვან კონცეფციებს, მათ ღირებულებასა და მნიშვნელობას ადამიანის ცხოვრებაში;
    - ქართული ენისა და კულტურის უნიკალობასა და ქართველთა როლს მსოფლიოს ისტორიული და კულტურული განვითარების კონტექსტში;

სამიზნე ნიშნულები:

პირველი სწავლის შედეგის შეფასების მიზნით ხორციელდება სტუდენტთა მიღწევების შეფასება შემდეგ სასწავლო კურსებში:

- ინგლისური ენის მორფოლოგია
- ინგლისური ენის სინტაქსი
- ინგლისური ენის ლექსიკოლოგია
- ინგლისური ენის სტილისტიკა
- ინგლისური ენის ისტორია
- დიადი წიგნები: დაფუძნების იდეა და დამფუძნებლები
- დიადი წიგნები: დრამა სხვადასხვა პერპექტივიდან
- დიადი წიგნები: ამბოხი ღმერთების წინააღმდეგ
- დიადი წიგნები: პოლიტიკური რეჟიმები
- მე-20 საუკუნის ინგლისის ლიტერატურა
- მე-20 საუკუნის ამერიკის ლიტერატურა
- თარგმანის თეორია და პრაქტიკა
- ზოგადი ფსიქოლოგია
- ეთიკა
- სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი
- საქართველო და გარესამყარო
- ინგლისური ენა 7
- ინგლისური ენის ფონეტიკა 2
- კითხვის უნარ - ჩვევები 4
- ტექსტის ინტერპრეტაცია - პროზა
- ტექსტის ინტერპრეტაცია - დრამა და პოეზია
- აკადემიური წერა 2

ზემოთ აღნიშნულ სასწავლო კურსებში სტუდენტთა მიღწევებით იზომება, როგორც მათი თეორიული საბაზისო ცოდნა, ისე მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

2. კურსდამთავრებული ინგლისური ენის C1 + დონის კომპეტენციის ფარგლებში ენის სამი სისტემის გააზრების საფუძველზე თავისუფლად კითხულობს, მიზანმიმართულად წერს და საუბრობს ინგლისური ენის მდიდარი და მრავალფეროვანი სტრუქტურული, თემატური და ფუნქციური რესურსის გამოყენებით. სწვდება ნათქვამის შინაარსსა და ადეკვატურად რეაგირებს მასზე.

- საუბარს წარმართავს ბუნებრივად, ძალდაუტანებლად და მოუმზადებლად, თავდაჯერებულად გამოხატავს აზრს ლექსიკური ერთეულებისა და კონსტრუქციების გამეორების გარეშე, ინარჩუნებს ლექსიკურ - გრამატიკული და ფონეტიკური სიზუსტის მაღალ დონეს, სამეტყველო სიტუაციიდან გამომდინარე იყენებს როგორც ოფიციალურ, ისე არაოფიციალურ რეგისტრს.
- თავისუფლად იგებს და გაიაზრებს მრავალფეროვან თემატიკასთან დაკავშირეული ნებისმიერი ტიპის აუდიო ინფორმაციის შინაარსს, შედის კონტაქტში ენის მატარებელთან, სათანადოდ

რეაგირებს მოსაუბრის გამონათქვამებზე, ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად იყენებს პერიფრაზირებას.

- სხვადასხვა მიზნით შეუფერხებლად, კრიტიკულად კითხულობს და შემოქმედებითად გაიაზრებს მრავალფეროვან თემებთან დაკავშირებულ რთულ თემატურ წასაკითხ და მოსასმენ მასალას.
- დამოუკიდებლად ასრულებს მოცულობით წერით სამუშაოს, მკაფიოდ და ლოგიკურად გამოხატავს საკუთარ შეხედულებებს წერილობითი ფორმით, გამართული სტილით ახდენს მასალის სტრუქტურულ ორგანიზებას სამიზნე აუდიტორიის ინტერესების გათვალისწინებით.
- თავისუფლად იყენებს მრავალფეროვან სასაუბრო, იდიომატური, თემატური გამოთქმების ფართო რეპერტუარსა და სათანადო ფუნქციურ ენას სხვადასხვა სოციალურ გარემოში სასაუბროდ.
- კომუნიკაციის მიზნებიდან გამომდინარე შეუფერხებლად აგებს სხვადასხვა სირთულის გრამატიკულად გამართულ კონტრუქციებს, თავად ასწორებს და აღმოფხვრის მის მიერ დაშვებულ შეცდომებს.
- იყენებს გაბმული მეტყველებისთვის დამახასიათებელ ყველა ელემენტს, სწორად წარმოთქვამს ბგერებს, სწორად სვამს მახვილს სიტყვებზე და წინადადებებს შიგნით, იყენებს სწორ ინტონაციასა და რიტმს.

შეფასების მეთოდები/კომპონენტები:

პროგრეს ტესტი/წერითი გამოკითხვა/ ინდივიდუალური ან ჯგუფური პრეზენტაცია/ ჯგუფური პროექტი - პრეზენტაცია/ ზეპირი გამოკითხვა/ დამოუკიდებელი საკლასო წერითი დავალება/ საშინაო წერითი დავალება/ ზეპირი გამოცდა/ წერითი გამოცდა/ვებინარი/ქვიზი/სხვადასხვა დანიშნულების წერითი ნაშრომი - ინტერვიუ მოთხრობის პერსონაჟთან, მოთხრობის პერსონაჟის პირადი დღიური, მოთხრობის ან ფილმის მოკლე შინაარსი, პერსონაჟის დახასიათება, წერილი მოთხრობის ან ფილმის პერსონაჟს, რეცენზია მოთხრობაზე ან ფილმზე, სარეკლამო ტექსტი, წერილობითი რეფლექსია, შემოქმედებითი/თავისუფალი კომპოზიცია, საჯარო გამოსვლის შეჯამება.

3. კურსდამთავრებული „საწყისი“ ენიდან (ინგლისური/ქართული ან პირიქით) „სამიზნე“ ენაზე (ქართული/ინგლისური ან პირიქით) თარგმნისას განსაზღვრავს თარგმანის ეკვივალენტობის დონეს და აღწევს ტექსტებს შორის შინაარსობრივ იდენტურობას „სამიზნე“ ენის გამომსახველობითი საშუალებების ნაირგვარი კომბინაციების მეშვეობით; აქტიურად იყენებს სათანადო თემატურ, დარგობრივ - პროფესიულ ტერმინოლოგიასა და ფუნქციურ ენას.

- წინასწარ არჩევს, აანალიზებს და დეტალებში (გა)იაზრებს სათარგმნ მასალას და ოპტიმალურად წარმართავს თარგმნის პროცესს.
- პრაქტიკულად განახორციელებს თარგმანს, არედაქტირებს და აკორექტირებს მის მიერ თარგმნილ ტექსტს.
- ადეკვატურად იყენებს სწავლების პროცესში ათვისებულ ორენოვან (ქართული/ინგლისური) თემატურ თუ დარგობრივ - პროფესიულ ტერმინოლოგიას, როგორც წერით, ისე ზეპირ მეტყველებაში.

- მიზანმიმართულად მუშაობს საკუთარი ლექსიკური მარაგის გაფართოებასა და გამდიდრებაზე, მოიძიებს ინგლისური ენის ცალკეული ფრაზების, იდიომების, გამონათქვამების ქართულ შესატყვისებს მათი სპეციფიკურ დავალებებში გამოყენების მიზნით.
- ჯგუფის წევრებთან ერთად მსჯელობს თარგმნის პროცესთან დაკავშირებულ თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე.
- ამზადებს საჯარო მოხსენების/ საჯარო გამოსვლის ტექსტსა და წერილობით ანგარიშს სხვადასხვა სფეროში არსებული იდეების, პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ, როგორც ქართულ ისე ინგლისურ ენაზე.
- ამზადებს და წარადგენს პროექტ - პრეზენტაციას კონკრეტულ განვლილი მასალის რომელიმე თეორიულ საკითხზე ინგლისური და ქართული ენების მასალაზე დაყრდნობით, აანალიზებს ვრცელ ორენოვან მასალას ორი ენის მსგავსი სისტემების თავისებურებებისა და მსგავსება-განსხვავების გამოსავლენად.

შეფასების მეთოდები/კომპონენტები:

ტესტირება ღია ან დახურული კითხვებით/წერითი გამოკითხვა/წერითი საშინაო დავალება/წერითი გამოცდა/ზეპირი გამოცდა/ინდივიდუალური პრეზენტაცია/ჯგუფური პროექტი - პრეზენტაცია/სემინარი/ზეპირი გამოკითხვა/თარგმანი.

4. მრავალფეროვან პროფესიულ თემებზე საუბრის უნარ-ჩვევის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის მიზნით, ქართულ-და ინგლისურენოვან სამეცნიერო კონფერენციებზე რეგულარულად წარადგენს პროფესიულ სფეროში მიღებული სტანდარტის საფუძველზე აგებულ პრეზენტაციებს, მოხსენებებსა და ვებინარებს. მათთან დაკავშირებული ზეპირი მეტყველების ნებისმიერი ფორმის გამოყენების დროს ზუსტად იცავს ყველა ეთიკურ ნორმას.

- ამზადებს პრეზენტაციას/მოხსენებას, იწერს ვებინარს, მწყობრად და თანმიმდევრულად წარადგენს მას აუდიტორიის წინაშე.
- ეფექტური ვერბალური ხერხებით იწყებს და ასრულებს პრეზენტაციას/მოხსენებას.
- მყარი არგუმენტებით მსჯელობს თეორიულ/პრაქტიკულ საკითხებზე, აქტუალურ თემებზე, გამოაქვს დასაბუთებული დასკვნები.
- პრეზენტაციის/მოხსენების/ვებინარის წარდგენის დროს ითვალისწინებს აუდიტორიის ფაქტორსა და ინტერესებს.
- გონივრულად და დამაჯერებლად იყენებს ვერბალური (ლინგვისტური) და არავერბალური (ექსტრალინგვისტური) კომუნიკაციის ნაირგვარ ფორმებსა და რესურსებს.
- საუბრისას აქტიურად იყენებს რთულ გრამატიკულ სტრუქტურებსა და კონკრეტული აკადემიური სტილისა თუ რეგისტრის შესაბამის მრავალფეროვან თემატურ, დარგობრივ-პროფესიულ ლექსიკასა და ფუნქციურ ენას.
- გაბმულად მეტყველებს ბუნებრივი პაუზებით, რიტმითა და ინტონაციით.
- იცავს პრეზენტაციისთვის/მოხსენებისთვის დადგენილ დროის რეგლამენტს.
- მშვიდად და აუღელვებლად ისმენს საპირისპირო აზრს, შედის დიალოგში თანამოსაუბრესთან და პროფესიულად აგრძელებს მასთან კამათს..
- შემოქმედებითად იყენებს მრავალფეროვან თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოლოგიებს.

შეფასების მეთოდები/კომპონენტები:

ზეპირი გამოკითხვა - ქვიზი/ინდივიდუალური ან ჯგუფური პრეზენტაცია/ზეპირი გამოცდა/ჯგუფური პროექტი-პრეზენტაცია/ვებინარი/საბაკალავრო ნაშრომის პრეზენტაცია/ჯგუფური კვლევითი პროექტის ანგარიშის პრეზენტაცია/პრაქტიკის დღიურის (ანგარიშის) პრეზენტაცია/თვითშეფასების დღიურის პრეზენტაცია/დისკუსიაში მონაწილეობა/საშინაო დავალების - რეფერატის პრეზენტაცია/საშინაო დავალების პრეზენტაცია.

5. კურსდამთავრებული მრავალფეროვანი აკადემიური მოთხოვნებიდან გამომდინარე ასრულებს სხვადასხვა ტიპის წერით სამუშაოს ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოხატვის კონკრეტული წერითი ფორმისთვის დამახასიათებელი ძირითადი თავისებურებების გათვალისწინებით; ირჩევს სათანადო თემატურ, დარგობრივ - პროფესიულ ტერმინოლოგიასა და რეგისტრს.

   - აკადემიური წერის თანამედროვე სტანდარტების საფუძველზე ირჩევს წერითი ნაშრომის ტიპს (აკადემიური/არააკადემიური).
   - სათანადო კონტექსტის გათვალისწინებით ახდენს ტექსტის სათანადო ფორმით მოდელირებას.
   - სათანადო კონტექსტის (აკადემიური/არააკადემიური) მოთხოვნებიდან გამომდინარე ეფექტურად აგებს წერითი ნაშრომის სტრუქტურას(შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნები).
   - არჩეული წერითი ნაშრომის ძირითადი ნაწილისთვის ირჩევს და იყენებს შესაბამისი ტიპის პარაგრაფს (აღწერითი, თხრობითი, დისკურსიული და ა. შ).
   - სამიზნე აუდიტორიის ინტერესების გათვალისწინებით ასრულებს სხვადასხვა დანიშნულების წერით ნაშრომს: საკურსო შრომა, ჯგუფური პროექტის ანგარიში, საბაკალავრო ნაშრომი, აბსტრაქტი - ანოტაცია, სხვადასხვა ტიპის ესე (მაგ. აღწერითი, შედარებითი, მიზეზ-შედეგობრივი, არგუმენტირებული და ა.შ.),
   - ახდენს სტრუქტურული ერთეულების სწორად ფორმულირებას - აყალიბებს იდეას/თეზისს, არგუმენტირებულად ასაბუთებს პოზიციას, გამოხატავს მოსაზრებას.
   - ნაწერის სტილისა და რეგისტრის გათვალისწინებით ლოგიკურად, თანმიმდევრულად, მკაფიო არგუმენტების მოხმობით ალაგებს კონკრეტულ თემასთან დაკავშირებულ მასალას.
   - აკადემიური წერისთვის დამახასიათებელი გამოხატვის წესების გათვალისწინებით იცავს წერითი ნაშრომისთვის დამახასიათებელ ფორმატს: სანდო და სარწმუნო წყაროების გამოყენებისა და დამოწმების წესებს, ციტაციისა და სქოლიოების დატანის წესებს, სიტყვების რაოდენობის დადგენილ ლიმიტს.
   - ითვალისწინებს მართლწერისა და პუნქტუაციის არსებულ ნორმებს.
   - ენობრივი კომპეტენციის ფარგლებში ირჩევს სხვადსხვა სირთულის გრამატიკულ სტრუქტურებსა და მრავალფეროვან თემატურ ლექსიკას, დარგობრივ - პროფესიულ ტერმინოლოგიასა და ფუნქციურ ენას.

შეფასების მეთოდები / კომპონენტები:

საკლასო წერითი დავალება/საშინაო წერითი დავალება - რეფერატი, თხზულება, აღწერითი ესე, მიზეზ-შედეგობრივი ესე, არგუმენტირებული ესე/ /საბაკალავრო ნაშრომი/ჯგუფური კვლევითი პროექტის ანგარიში/საკურსო შრომა/წერითი გამოკითხვა/ტესტი დახურული კითხვებით/პრაქტიკის დღიური (ანგარიში)/ თვითშეფასების დღიური/ავტორის შემოქმედების შეფასება/ნაწარმოების ანალიზი/წერითი გამოცდა.

6. ლიტერატურათმცოდნეობითი და ლინგვო-სტილისტური მეთოდების საფუძველზე აღწერს და აანალიზებს სხვადსხვა ტიპის მხატვრულ ტექსტს (პროზა, პოეზია, დრამა). საკვლევ ობიექტს განიხილავს სხვა ობიექტებთან მიმართებით ფართო ლიტერატურულ თუ ლინგვო-სტილისტურ კონტექსტში.

- კონკრეტული აკადემიური მიზნიდან გამომდინარე განახორციელებს ინგლისურ ენაზე დაწერილი სხვადასხვა ჟანრის, მიმდინარეობისა და სირთულის მხატვრული ორიგინალური ტექსტის ლიტერატურულ ან ლინგვო-სტილისტურ ანალიზს.
- კრიტიკულად კითხულობს, სწვდება მხატვრულ ჩანაფიქრს და თანმიმდევრულად განიხილავს ინგლისურენოვან პროზაულ, პოეტურ, დრამატულ ნაწარმოებს.
- აანალიზებს კულტურული, სოციალური და ისტორიული ფასეულობების ზეგავლენას მხატვრულ ტექსტზე.
- აანალიზებს ტექსტიდან მიღებულ შინაარსობრივ და ემოციურ ინფორმაციას, მსჯელობს ძირითადი თემის აქტუალურობაზე, ავტორისეული ენის თავისებურებებზე, ავტორისეული სათქმელის (Message) მნიშვნელობაზე.
- განმარტავს მხატვრული ნაწარმოების ძირითად კომპოზიციურ ელემენტებს: დამაჯერებლად მსჯელობს ტექსტის აგებულების, ნაწარმოების ძირითადი თემისა და იდეის, ნაწარმოების სათაურისა და ძირითადი თემის კავშირის, მოქმედების დროისა და ადგილის შესახებ, აღწერს პერსონაჟებს, ახასიათებს ტექსტის სტილისტურ თავისებურებებს, ხსნის უნივერსალური სიმბოლოების მნიშვნელობას.
- აღწერს მოთხრობის კომპოზიციურ ერთიანობას, სიუჟეტის სტრუქტურას, განიხილავს თხრობის, მთხრობელისა და პერსონაჟების ტიპებს, მთხრობელსა და პერსონაჟს შორის არსებულ ურთიერთობებს.
- საუბრობს დრამის ელემენტებზე, პიესის სტილის განმსაზღვრელ ფაქტორებზე, თემასა და იდეაზე, კომპოზიციაზე, პერსონაჟებზე;
- მსჯელობს ლექსის მეტრის და რიტმის ორგანიზაციაზე, რითმაზე; ფონეტიკურ ექსპრესიულ საშუალებებზე და სტილისტურ ხერხებზე; საუბრობს ლექსის სუბიექტზე (speaker), ლექსის ხატოვანებაზე, ემოციაზე, ინტონაციის მნიშვნელობაზე.
- აანალიზებს ნაწარმოების მხატვრულ - გამომსახველობით საშუალებებს - ტროპებს, განსაზღვრავს, ხსნის და განმარტავს მათ მნიშვნელობას ნაწარმოების შინაარსის სრული წარმოჩენის, პერსონაჟთა ვერბალური პორტრეტების შექმნის საქმეში.
- ადგენს საკუთარ ტერმინოლოგიურ ლექსიკონს.
- მხატვრული ტექსტის ლიტერატურული თუ ლინგვო-სტილისტური ანალიზის დროს მიზანმიმართულად იყენებს თემატური და დარგობრივ - პროფესიული ლექსიკის მრავალფეროვან რესურსს.

შეფასების მეთოდები / კომპონენტები:

ზეპირი გამოკითხვა/ინდივიდუალური პრეზენტაცია/წერითი გამოცდა/საშინაო დავალება-რეფერატი/ავტორის შემოქმედების შეფასება/ლიტერატურული ნაწარმოების ანალიზი/პროგრეს ტესტი(ერთი სწორი პასუხით)/წერითიო გამოცდა (ტესტი ერთი სწორი პასუხით)/წერითი გამოკითხვა/არგუმენტირებული ესე/ საშინაო დავალება (ლინგვო-სტილისტური ანალიზი)/ზეპირი გამოცდა/ტესტირება.

7. C 1 + დონის ენობრივი კომპეტენციის ფარგლებში, საკვლევ თემასთან მიმართებით გააზრებულად მოძიებული და სისტემატიზირებული მულტიმედიური ინფორმაციის სათანადო ფორმით წარდგენისას (როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე). ყოველგვარი შეფერხების გარეშე იყენებს თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების მრავალფეროვან რესურსს.

- ინგლისური ფილოლოგიის პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის სფეროებთან მიმართებით დამოუკიდებლად მოიძიებს და სრულად გაიაზრებს სხვადასხვა ტიპის მრავალფეროვან აუდიო, ტექსტურ ან მულტიმედიურ ინფორმაციას (სამეცნიერო - კვლევითი, დარგობრივ - პროფესიული, მხატვრული/არამხატვრული) ნებისმიერი აქტუალური თეორიული თუ პრაქტიკული საკითხის ირგვლივ.
- ინფორმაციის მოსაპოვებლად იყენებს მრავალფეროვან სანდო, ავტორიტეტულ, ავთენტურ წყაროებს კონკრეტული დავალების შესასრულებლად, როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე.
- მოპოვებულ ინფორმაციას დაამუშავებს , გაიაზრებს კრიტიკული და შემოქმედებითი კუთხით, მოჰყავს სისტემაში, აყალიბებს არგუმენტირებულ დასკვნებს, დაურთავს შეფასებით კომენტარებს და იყენებს მათ კონკრეტული მიზნისთვის.
- სპეციფიკური დავალების მოთხოვნებიდან გამომდინარე, სათანადო კონტექსტისა და რეგისტრის გათვალისწინებით აქტიურად იყენებს შესაფერის თემატურ, დარგობრივ-პროფესიულ ტერმინოლოგიასა და ფუნქციურ ენას, როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენებზე.
- ნებისმიერი ტიპის ინფორმაციის მოპოვების, დამუშავება - დახარიხების, დამახსოვრების, გაზიარების, სათანადო ზეპირი/წერითი ფორმით მოდელირების მიზნით მუშაობს ელეტრონულ ფოსტასთან, შეუფერხებლად იყენებს Google-ის ღრუბლოვან სერვისებს, მიზანმიმართულად სარგებლობს საოფისე პროგრამებით (Windows 7 / 10, Ms. Word 2007 - 2013, Ms. Excel 2007 - 2013, Ms. Power Point 2007 -2013, Internet Explorer).
- ფლობს ტექსტური დოკუმენტებისა და რეფერატების მომზადების ტექნიკას, ქმნის პრეზენტაციებს მრავალფეროვანი ინსტრუმენტების საშუალებით, აქტიურად იყენებს მის მიერ შექმნილ ნაირგვარ საიტებსა და ბლოგებს პროფესიული კომუნიკაციისთვის (პროფესიულ ჯგუფებში გაერთიანება, ინფორმაციის გაზიარება, პროფესიულ საქმიანობაში ჩართვა და ა.შ.)

შეფასების მეთოდები / კომპონენტები:

Word-ში შექმნილი დოკუმენტის პრეზენტაცია/ სხვადასხვა ტიპის პრაქტიკული დავალებების შეფასება (ბლოგის შექმნა, ნაირგვარი გვერდების შექმნა ღრუბლოვანი საიტების მეშვეობით, ელექრონული პორტფოლიოს აწყობა, პრეზენტაციების მომზადება სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით და ა.შ)/პრაქტიკის დღიური-ანგარიში/საბაკალავრო ნაშრომი/ჯგუფური კვლევითი პროექტი/თვითშეფასების დღიური-ანგარიში/საშინაო წერითი დავალება-რეფერატი, თხზულება, აღწერითი ესე, მიზეზ-შედეგობრივი ესე, არგუმენტირებული ესე/საკურსო შრომა/ინდივიდუალური ან ჯგუფური პრეზენტაცია/წერითი გამოცდა/ზეპირი გამოცდა.

8. მოქმედებს, როგორც ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებისა და ღირებულებების, ისე ქართული კულტურის წიაღში ჩამოყალიბებული მორალურ-ეთიკურ პრინციპების სრული

გათვალისწინებით. აქტიურად ერთვება გუნდურ მუშაობაში და მონაწილეობს მუშაობის პროცესის ყველა ეტაპის განხორციელებაში.

- ფართო ჰუმანიტარულ კონტექსტში სიღრმისეულად გაიაზრებს და განმარტავს ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის ფარგლებში დაგროვილი ცოდნის (ისტორია, ენის მეცნიერებები, ლიტერატურათმცოდნეობა, სოციალური მეცნიერებები და ა.შ.) პრაქტიკულ მნიშვნელობას ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების ჩამოყალიბების საქმეში; ასევე აღიარებს კულტურის გადამწყვეტ როლს ადამიანის პიროვნული განვითარების საქმეში.
- აანალიზებს საკუთარი მორალურ - ეთიკური პრინციპების დადებით როლს ინტერკულტურული ურთიერთობებისა და სხვადასხვა კულტურათა დიალოგის სწორად წარმართვის მიმართულებით.
- უპრობლემოდ ერთვება ნებისმიერი ტიპის ჯგუფურ მუშაობაში (დისკუსია, პრეზენტაცია, პროექტი), აქტიურად მონაწილეობს მის დაგეგმვაში, მართვასა და განხორციელებაში.
- აკადემიური პროცესის მსვლელობის პროცესში იყენებს სწავლის ავტონომიურ უნარ-ჩვევებს, ეფექტურ ინდივიდუალურ სტრატეგიებს, შეფასებისა და თვით-შეფასების კრიტერიუმებს.
- ჯგუფის წევრებს უზიარებს მის ხელთ არსებულ ინფორმაციას, სვამს კრიტიკული ხასიათის კითხვებს და ყურადრებით ისმენს პასუხებს, მათ შორის განსხვავებულ მოსაზრებებსაც, გამოთქმული აზრების შეჯერების საფუძველზე ახდენს ადეკვატურ რეაგირებას ტოლერანტულობისა და ეთიკურობის ფარგლებში.
- კონტრეტული აკადემიური/დარგობრივ - პროფესიული მოთხოვნებიდან გამომდინარე მაღალ დონეზე ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, სრულ პასუხისმგებლობას იღებს საკუთარ ქმედებებზე.

შეფასების მეთოდები / კომპონენტები:

საბაკალავრო ნაშრომი/ჯგუფური კვლევითი პროექტი/თვითშეფასების დღიური - ანგარიში/ჯგუფური პროექტის მონიტორინგი/სასწავლო პრაქტიკა/სასწავლო პრაქტიკის დღიური - ანგარიში.

9. ახდენს საგანმანათლებლო დონის შესაბამისი პროფესიული ცოდნის დაგროვებას, არსებული უნარ-ჩვევების დახვეწასა და ახალი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება - განვითარებას. დამოუკიდებლად და ეფექტურად მართავს თავის დროსა და რესურსებს.

- ყურადრებით აკვირდება სიახლეებს ინგლისური ფილოლოგიის განვითარების კუთხით.
- სათანადოდ რეაგირებს ინგლისური ფილოლოგიის სფეროში განხორციელებულ ცვლილებებთან მიმართებით: მოიპოვებს ახალ ინფორმაციას, შეივსებს და იფართოვებს დაგროვილ ცოდნას, მიზანმიმართულად იყენებს მას პრაქტიკულ საქმიანობაში.
- დაგროვილი თეორიული ცოდნის რეგულარული პრაქტიკული გამოყენების საფუძველზე ხვეწს და განივითარებს არსებულ პროფესიულ უნარ-ჩვევებს, იყალიბებს ახალ, მისთვის სასურველ/საჭირო უნარ-ჩვევებს.
- დამოუკიდებლად განსაზღვრავს თავის საგანმანათლებლო საჭიროებებს, აღწევს სასურველ საგანმანათლებლო მიზნებს.

- დამოუკიდებლად ასრულებს სხვადასხვა ტიპის აკადემიურ, დარგობრივ - პროფესიულ სამუშაოს.
- თავის თავზე იღებს ინიციატივას და აღწევს სასურველ შედეგს.
- განაზოგადებს ნაცნობ აკადემიურ და დარგობრივ - პროფესიულ გარემოში გამოტანილ დასკვნებს და დამაჯერებლად იყენებს მათ ახალ კონტექსტში.
- თავად გეგმავს საკუთარ აკადემიურ პროცესსა და უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, გამომუშავებული თვით - შეფასების სტრატეგიების საფუძველზე ადეკვატურად აფასებს საკუთარ მიღწევებს.
- შესაფერისად მართავს თავის რეალიზებულ (ადამიანურ) რესურსებს, ასევე ახდენს თავისი პოტენციური რესურსების თანდათანობით რეალიზაციას.
- ოპტიმალურად იყენებს დროის რესურსს.

შეფასების მეთოდები / კომპონენტები:

საბაკალავრო ნაშრომი/ჯგუფური კვლევითი პროექტი/თვითშეფასების დღიური - ანგარიში/ჯგუფური პროექტის მონიტორინგი/სასწავლო პრაქტიკა/სასწავლო პრაქტიკის დღიური - ანგარიში.

10. კურსდამთავრებული წერს კვლევით ნაშრომს ან/და მონაწილეობს ჯგუფურ კვლევით პროექტში წინასწარ მიღებული მითითებების საფუძველზე.

საბაკალავრო ნაშრომი:

- წერს საბაკალავრო ნაშრომს ენის მეცნიერებების, ლიტერატურათმცოდნეობის, კულტურის განხრით აკადემიური წერის სტანდარტების სრული დაცვით.
- წერს აბსტრაქტს (ანოტაციას) აკადემიური წერის სტანდარტების სრული დაცვით.
- ხელმძღვანელის მითითებების გათვალისწინებით დამოუკიდებლად ირჩევს მისთვის საინტერესო საკვლევ თემას/საკითხს.
- ნაშრომი სრულად მიჰყვება საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურას; აბსტრაქტი - ანოტაცია, შესავალი - საკითხის დაყენება, ძირითადი ლიტერატურის მიმოხილვა, ინფორმაცია გამოყენებული მეთოდის/მეთოდების შესახებ, თავად კვლევა, დასკვნები და რეკომენდაციები, გამოყენებული ლიტერატურის სია; ნაშრომი სრულად ითვალისწინებს ცოტაციისა და სქოლიოების დატანის წესებს.
- იყენებს კვლევის სათანადო სტანდარტულ მეთოდს/მეთოდებს.
- ნაშრომში წარმოდგენილი თეზისი ნათელია და კონკრეტული, მსჯელობა თანმიმდევრულია, მკაფიო არგუმენტებით განმტკიცებული, დასკვნები დასაბუთებულია, რეკომენდაციები - სათანადოდ გაწერილი.
- საბაკალავრო ნაშრომისთვის დამახასიათებელი რეგისტრის საფუძველზე გამოყენებულია შესაბამისი აკადემიური/დარგობრივ პროფესიული ლექსიკა და ფუნქციური ენა.
- თემის დასამუშავებლად მოძიებული ლიტერატურა სანდო, ავტორიტეტულ, ავთენტურ წყაროებს ეყრდნობა.
- საბაკალავრო ნაშრომს წარადგენს და იცავს დაცვის კომისიის წინაშე, პასუხობს რეცენზენტის, კომისიის წევრებისა და აუდიტორიის კითხვებს.

ჯგუფური კვლევითი პროექტი:

- მონაწილეობს, როგორც ჯგუფური პროექტის ანგარიშის წერის, ისე ჯგუფური პრეზენტაციის მომზადების პროცესებში, ითვალისწინებს ხელმძღვანელის მითითებებს.
- ჯგუფური კვლევითი პროექტის ყველა ეტაპთან დაკავშირებით იღებს ერთობლივ გადაწყვეტილებებს ელმძღვანელთან და ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად, როგორც ჯგუფური მუშაობის, ისე უშუალოდ მის მიერ ინდივიდუალურად განსახორციელებელი საქმიანობის შესახებ, ყოველთვის მოქმედებს ეთიკური ნორმების დაცვით.
- ინდივიდუალურად შესასრულებელ სამუშაოს ეკიდება სრული პასუხისმგებლობით, დასმული პრობლემის გადასაწყვეტად იყენებს მაქსიმალურად რელევანტურ, ინოვაციურ გზას.
- დასრულებული პროექტი სრულად მიჰყვება ჯგუფური პროექტისთვის დადგენილი წერითი ანგარიშის სტრუქტურას.
- პროექტში გამოყენებულია სათანადო დარგობრივ - პროფესიული ლექსიკა და ფუნქციური ენა.
- რეგულარულად აფასებს საკუთარ საქმიანობას პროექტის თანმიმდევრულად განხორციელებულ ეტაპებთან და პროექტის ძირითად მიზანთან და საბოლოო შედეგებთან მიმართებით.
- წარადგენს თვითშეფასების სრულად შევსებულ დღიურს, იძლევა ამომწურავ ახსნა-განმარტებებს სამუშაო პროცესის სხვადასხვა ეტაპებზე პროექტში მისი ჩართულობის, საკუთარი პროფესიული წინსვლის, მიღწეული შედეგების, მუშაობის პროცესში წარმოშობილი პრობლემებისა და მათი ეფექტური გადაწყვეტის გზების, მიღებული გამოცდილების და ა.შ. შესახებ.

შეფასების მეთოდები / კომპონენტები:

საბაკალავრო ნაშრომი / ჯგუფური კვლევითი პროექტის ანგარიში) /ინდივიდუალური პრეზენტაცია/ჯგუფური პრეზენტაცია/თვითშეფასების დღიური/ჯგუფური მუშაობის მონიტორინგი/ დისკუსიაში მონაწილეობა.

სამიზნე ნიშნულების შეფასების კრიტერიუმები

	კრიტერიუმები					
	A	B	C	D	E	F
სამიზნე ნიშნული	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის სანიმუშოდ გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების თუ დასაბუთებათა სინთეზის ბრწყინვალე შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის ძალიან კარგად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის მაღალი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის კარგად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის კარგი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის დამაკმაყოფილებლად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის დამაკმაყოფილებელი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის საკმარისად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის საკმარისი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის ძალიან მწირი გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის არქონის ჩვენება

დანართი 1: პროგრამის სასწავლო გეგმა და შედეგების რუკა.

დანართი 2: CV - რუსუდან ციციშვილი